



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის #004/15<sup>1</sup> რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

გიორგი გიორგაძე (სტუდენტი)

### შეკითხვა:

დაირღვევა თუ არა ადვოკატის მხრიდან ეთიკის კოდექსის რომელიმე ნორმა თუ ის კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე, მოწმის სახით ჩვენებას მისცემს იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც ცნობილი გახდა მისთვის ამ კლიენტის ინტერესების დაცვის განხორციელებისას.

### ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად: ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება და კლიენტის თანხმობის გარეშე არ გაავრცელოს ის.

სსსკ-ის 50-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით ადვოკატს არ ევალება გამოვიდეს მოწმედ მისი კლიენტის სასარგებლოდ თუ წინააღმდეგ და მიუთითოს ის გარემოებები, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა იურიდიული დახმარების გაწევისას. სსსკ-ის 60-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8.3 მუხლები იმპერატიულად განსაზღვრავენ, რომ ადვოკატმა არ განახორციელოს პროფესიული ფუნქციები იმ საქმეზე, რომელზეც შეასრულა საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილებები.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზიდან გამომდინარე ადვოკატს ევალება დაიცვას პროფესიული საიდუმლოება და ის არ არის დროში შეზღუდული. გარდა ერთი შემთხვევისა, როდესაც კლიენტი მიიჩნევს, რომ ასეთი ინფორმაციის მიწოდება ემსახურება მის ინტერესებს. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადვოკატი არ არის ვალდებული სასამართლოს წინაშე წარდგეს, როგორც მოწმე, არამედ ეს მის ნება-სურვილზეა დამოკიდებული.

### დასკვნა:

თუ ადვოკატს კლიენტი სთხოვს ჩვენება მისცეს გამოძიებას იმ საკითხთან დაკავშირებით რაც ცნობილი გახდა მისთვის კლიენტის ინტერესების დაცვის განხორციელებისას ადვოკატს უფლება აქვს მოწმის სტატუსით მიიღოს საგამოძიებო მოქმედებაში მონაწილეობა, ამ შემთხვევაში ადგილი არ ექნება ადვოკატის მხრიდან ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევას.

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/pdf/5c7fb747538cd.pdf/24%20July%202015%20004.15.pdf>